№ 178. 23 აგვისტო, შაბათი — 1866—1880 — 23 აგვისტო, შაბათი. № 178.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია

ერევნის მოედანზე, სუასანზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რაჭუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакціи „Дроэба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წლიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად . . | 13 მან. . . | 7 მან. . | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ . . . . . | 9 მან. . . | 5 მან. . | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ . . . . . | 6 მან. . . | 4 მან. . | 2 მ. |

ცალკე ნომერი, „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასოებით ასოზე ნახევარი კაპ. წვრილებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

1 აგვისტოდამ წლის დამლევამდის
**დროება**
ღირს ოთხი მანეთი
**ივერია**
ოთხი მანეთი
„დროება“ და „ივერია“ ერთად
შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

—

(სალხთა შორის საგენტოსი)

პეტერბურღი, 21 აგვისტო. დღეს წამოვიდა თფილისის დეპუტაცია გვარდიის ცხენოსანი—არტილერიის ბრიგადის მეორე ბატარეისა, რომელმაც უნდა მიულოცოს დენერალ-ფელდცეის მესტერს ოც-და-ხუთი წლის მისი მონაწილეობა ამ ბატარეიაში, როგორც შეფისა, 29 აგვისტოს.

შამანი, 21 აგვისტო. ამბობენ, რომ ენთუზ-ხმანმა ითხოვა რომ ნება მისცენ წინ წასვლისა; ფიქრობენ, რომ იმას ქაბულში უნდა მისვლა.

პეტერბურღის ბირჟა, 5 აგვისტოს.

(„სალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა— | — 94—50 |
| მეორესი — — — — — | 92—37 |
| მესამესი — — — — | 93—50 |
| მეოთხესი — — — — | 92—50 |
| აღმოსავლეთის პირვ.— | — 91—12 |
| აღმოსავლეთის მეორე | — 91—25 |
| აღმოსავლეთის მესამე | — 91—25 |
| ოქრო, ½ იმპერიალი— | — 7—84 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი | — — „ — „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 223—50 |
| მეორე სესხის — — — | 221—75 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25—09 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 215—25 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 265—37 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129—50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

## მომავალ კალიაზედ

ტფილისი, 22 აგვისტოს.

ნამდვილი ცნობები არის მიღებული, რომ ქართლში, ყარაიაზში, ბაქოს და ზანგის გუბერნიაში, ზოგან იმერეთშიაც კი წლევანდელმა კალიამ თესლი დაჰყარა.

ზოგიერთ ადგილებში, სადაც კი კალიამ კვერცხი დასდო, ადმინისტრაციის განკარგულებით, ნიშნები დაუსვიათ, რომ იცოდნენ და გაზაფხულზე აქ დააყენონ მუშები ამ კვერცხების გასასრესად. ზოგან კი ისე, ზეპირათ, ამბობს ხალხი, რომ ამა-და-ამ ადგილას დაჰყარა კალიამ კვერცხიო.

ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით ის გაჭირება და ენერგიული შრომა, რომელიც გამოიარა წელს ხალხმა ამ კალიის გასაწყვეტად. ამ შრომისა და გაჭირების მოწამე იყო ჩვენი ადმინისტრაციაც, რადგან კალიის წინააღმდეგ ბრძოლა თითქმის ყველგან ამ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ზედამხედველობით მიდიოდა. რამდენიმე თვის განმავალობაში, ისეთი თვეებისა, რომელიც მუშა, ძვირფას თვეებად ითვლება სოფლის მეურნეობისათვის, ხალხი დღე-და-ღამ ცოცხითა და ბარით ხელში მუშაობდა მინდვრებში და დაუღალავად, მოუსვენრად, გულ-მოდგინედ სწყვეტდა კალიას, მტერს, რომელიც იმას ლუკმა-პურის წართმევას, მშიერ-მწყურვალედ დაგდებას უქადიდა.

ბოლოს ხალხის მეცადინეობამ და გულ-მოდგინე შრომამ დასძლია მტერს, და დღეს კვლავინდელზე უფრო მომეტებულის უფლებით შეუძლიან იმას სთქვას, რომ თავის ოფლით შეიძინა თავის ლუკმა-პური.

მეორე საყურადღებო შედეგი ამ კალიის წინააღმდეგ ბრძოლისა წლევანდელ ნამუშევრის გადარჩენაზედ უფრო ძვირფასია. ჩვენი ცრუ-მორწმუნე ხალხი დარწმუნდა, რომ კალია განრისხებულის ღვთისაგან მოვლენილი უბედურება არ არის; დარწმუნდა, რომ კალიის გაწყვეტა, იმის თავიდამ აცილება შესძლებია ადამიანს, თუ კი ეს ადამიანი მოინდომებს, ეცდება, გულ-ხელ-დაკრეფილი არ დაჯდება შინ და არ იტყვის, რომ „კალია ღვთის რისხვაა, კაცმა იმას ხელი არ უნდა ახლოსო.“

მომავლისათვის კალიის წინააღმდეგ მუშაობა უნდა გაუადვილოთ ხალხს. ეყოფა ის მსხვერპლი, რომელიც წელს მოიტანა. ეს გაადვილება ადვილად ასასრულებელია, თუ კი მთავრობა განკარგულებას მოახდენს, რომ კალიის კვერცხის გაჟლეტას ახლავე, ამ შემოდგომაზედვე და ზამთარში შეუდგეს ხალხი.

მართლაც, გაზაფხულზე და ზაფხულზე, როდესაც გაცხარებული მუშაობაა მინდვრებში, ორი-სამი თვის განმავალობაში გაუწყვეტელ მუშაობას, ათასჯერ უფრო მოხერხებული

---

დროების ფელეტონი, 23 აგვ.

## ჩვეულებური.

### ქართული ფული.

ფულზე ბევრი კარგი თქმულა და უფრო უმეტესი ცუდი...

როცა კაცს ფული აქვს, კაცი იმისი მოყვარეა. ის ეტრფის და ლოცავს ამ ფულს, როგორც პუშკინის კრიჟანკი, ან ერისთავის ძუნწი. ამ ბედნიერისთვის ფული სიცოცხლის სვეტია, რომელზედაც დამყარებულა მთელი კაცობრიობა. ხალხთა შორის მისვლა-მოსვლა, რკინის გზა, ტელეგრაფი, ზღვით მოგზაურობა, ვაჭრობა, ომი, გონებითი და ზნეობითი პროგრესსი, სამოქალაქო კეთილდღეობა, ერთი სიტყვით მთელი კაცობრიობის ცივილიზაცია, რომლის ნაყოფით სტკბება თანამედროვე კაცი, სულ ამ დალოცვილი ფულის წყალობა არის. ასე ფიქრობს ფულიანი კაცი.

მაგრამ, შენი მტერი, თუ ფული არ არის. ფული, მაშინ, ყოველი უბედურების და ცუდ საქმის წყაროა. კაცობრიობის უსწორ-მასწორობა, სიღარიბე, უმეცრება, მწუხარება, სხვა და სხვა გვარი გაჭირვება სულ ფულის ბრალია. ის რომ არ გამოეგონა კაცს, ქვეყანაზე არც სიღარიბე იქნებოდა, არც სხვა და სხვა გვარი ვაი-ვაგლახი,—ყოველი კაცი სწორი იქნებოდა, ყოველი კაცი ბედნიერი, ყოველი კაცი კმაყოფილი... ასე ფიქრობს ქესატი.

უნებლიეთ მაგონდება აქ ერთი ჩემი შენეველი ნაცნობი, რომელიც ზემო მოყვანილ სიტყვებს ამართლებდა თავის ცხოვრებით. როდესაც ამ ნაცნობს ფული გამოელეოდა და შიმშილი აგრძნობინებდა თავის საზარელ ძალას, ის მოიჭრებოდა ჩემთან—ალბათ, სევდის გასაქრობლათ, სხვა რა გამაჩნდა ქვეყანაზე—და შემომჩიოდა ამ ფულის ოხრობას. ფული, ან, როგორც ის იტყოდა განათლებულის ენით, კაპიტალი, იყო კაცობრიობის მტერი. სანამ ის იქნებოდა ქვეყანაში, უსწორ-მასწორობის სუფევასაც არ მოელებოდა აქ ბოლო... და გააბამდა ფულის წინააღმდეგ ამ გვარს დაუსრულებელს ლაპარაკს. მერე, როდესაც ლაპარაკით გულს მოიჯერებდა, დარწმუნებული კაცის სახით, დამატებდა: „გამოანგარიშებულია, ჩრდილოეთის ამერიკის ტყეებში იმდენი ნადირი არის, რომ მთელ კაცობრიობას ყოველ დღე ორ-ორი ბივშტექსი გახვდება, მაგრამ კაპიტალისტებს კაცობრიობაც და დედა-მიწაც ხელში ჩაუგდიათ და ჩვენ, ბივშტექსი კი არა ამერიკელი კარტოფილიც სანატრელათ გაგვიხდა“.

მაგრამ ხან-და-ხან ამ იერემიის ქუჩაზედაც იქნებოდა დღესასწაული—ათასში ერთხელ ამასაც მოსდიოდა საიდამაც იყო ფული. აბა მაშინ უნდა გენახათ მისი მოცინარე პირის სახე. იმას უეცრივ ავიწყდებოდა მდიდარიც და ღარიბიც, კაციც და კაცობრიობაც, მირბოდა „კაფეში“, ჭიქას ჭიქაზედ სცლიდა მაზაგრანს, გროკს, შარტროზს, რაც მოხდებოდა ენაზე და როდესაც, ლონდრესით ხელში, გამოდიოდა „კაფედამ“ ბუტბუტებდა თავისთვის:

— როგორც გინდა თქვი, ფულზე უკეთესი ჯერ არა მოუგონია-რა კაცსო.

* * *

მაგრამ ამ ჩემი მეგობრის ფილოსოფიამ, მეშინია, შორს არ წამიყვანოს. დაუბრუნდეთ ისევ „ჩვენ ცხვარს.“ ჩვენ ქართულ ფულებს.

ფული ქართული სიტყვა არ არის. მთელ სამღრთო წერილში და, რამდენათაც მახსოვს „ვეფხვის ტყაოსანში“ არც ერთჯერ არ არის ის ნახმარი. სწავლული ნუმიზმატი რეინო ამბობს: ქართული ფული არაბული ფულუს იდამ წარმოდგებაო და არაბული ფულუს ლათინურ ობოლუს-იდამ არის ჩამოსულიო... როგორც უნდა იყვეს, ჩვენნი ძველნი არ ხმარობდენ ამ სიტყვას. ამის მაგიერ იმათ ჰქონდათ სიტყვა საფასე.

ფული და საფასე ერთი და იგივე არ არის. საფასე იმ დროს ეკუთვნის, როდესაც ფული ან არ იყო გამოგონილი და ფულის მაგიერობას ასრულებდა მარილი, ტყავი, ქვა და სხვ., ან, თუ გამოგონილი იყო, საყოველთაო ხმარებაში მაინ არ იყო შესული. ფული, უფრო გვიანდელი სახელი არის ის დაერქვა ფასეს მაშინ, როდესაც საფასეთ გახდა მეტალლი—ოქრო, ვერცხლი, სპილენძი.... ფული ამ მეტალლების სახელია; საფასე სულ ყოველ გვარი ღირეულობის, მეტალლი იქნება თუ ძივები, რომლითაც გარეწარი ამკობს თავის ძვირფასს ნახევარს.

* * *

ძველებურ ქართულ ფულზე უწერიათ ბევრი: თეიმურაზს, მიხაილ ბარათოვს, ბროსსეს, რეინოს, სილვესტრე დ'სასის და სხვათა. ამათი გამოკვ-

იქნება ხალხისათვის, რომ ზამთარში კვირაში ერთი-ორი დღე მოაცდინონ, აჩხრეკინონ მინდვრები და გააწყვეტინონ კალიის კვერცხები. თვით შემოდგომაზედაც, რომ კვირა დღეობით გაიყვანონ ხალხი კალიაზე, ურიგო არ იქნება, და ზამთარში ხომ სანამ თოვლს დასდებდეს, ხალხს ბევრი შინაური სამუშაო საქმე არა აქვს და კვირაში ორი-სამი დღეც არ გაუძნელდება, რომ თავის დამღუპველ მტრის მოსაგერებლად შესწიროს.

თუ ამ გვარის თადარიგის, ამ გვარის წინ-დახედულობით მოიქცევა ხალხი, მაშინ იმას გაზაფხულზე აღარ დასჭირდება ისე გაფაციცებით მუშაობა კალიაზე, რადგან ეს კალია აღარ იქნება, და ხალხი აღარ მოსცდება სოფლის მუშაობას.

ამისათვის საჭიროა, რომ ყველგან, სადაც კი კალიის კვერცხი ეგულებათ, ახლავე დანიშნოს მთავრობამ ზედამხედველები, უბნებად გაჰყოს ამ ზედამხედველებს შორის ის ადგილები და თითოეულ იმათგანს მიანდოს თავის უბნიდამ კვირაში ერთი ან ორი დღე ხალხის გამოყვანა კალიის კვერცხის საძებრად და გასაწყვეტად. გაზ. „კავკაზში“ ქართლიდამ იწერებოდნენ ამას წინათ, რომ 14 ნაწილად არის მთელი ქართლი გაყოფილიო და თითოეულს ნაწილს ზედამხედველს მინდობილი აქვს კალიაზე ყურადღება იქონიოსო. კარგი იქნება თუ ამ გვარსავე წესს და თადარიგს სხვაგანაც, სადაც კალია იყო, შემოიღებენ დაუყოვნებლივ; თორემ, თუ მარტო ქართლში მიაქციეს ყურადღება და სხვაგან კი არა: ეს არას მოეხმარება, რადგან ამ სხვა მხრებიდამ ქართლშიაც და სხვაგანაც კალია ადვილად გავრცელდება.

## ახალი ამბები

როგორც მოგეხსენებათ, წელს იხსნება ქალაქის ხარჯით ერთი პირველ-დაწყებითი შკოლა და მიხაილოვის სახელოსნო სასწავლებელი. პირველ-დაწყებითს სასწავლებელში სამი განყოფილება იქნება: რუსებისთვის, ქართველებისა და სომხებისათვის; თითოეულ ამ განყოფილებაში სწავლა ყმაწვილების სამშობლო ენაზედ უნდა იქნეს.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ჟამად [illegible] და სხვა საჭირო მოწყობილობა ზადდება ამ სასწავლებლებისთვის, ასე რომ სწავლა ენკენისთვის 15-მდინ დაიწყება. მსურველების რიცხვი ახლავე ასზე მეტია; მომეტებული ნაწილი მსურველებისა სომხები და ქართველები არიან.

* * *

რუსულს გაზეთს მოსკოვის უწყებებში ვკითხულობთ 15 აგვისტოს ბათომიდამ გაგზავნილს შემდეგს ტელეგრამმას:

„დიდი მთავარის კავკასიის ნამესტნიკის მოწყალებაზე ქონებული იმედი სრულიად გამართლდა. მისმა ი. უ. დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, რა კი შეიტყო უბედური ყოფა-ცხოვრება ბათომის სამასი აბხაზებისა, მოწყალე ნება-რთვა მისცა მათ სოხუმში დაბრუნებისათვის. 13 აგვისტოს ყველანი გადაიყვანეს სოხუმში გემით „ილბუზით“.

* * *

დღეს, შაბათს, გამოდის პირველათ თბილისის სცენაზე ჩვენი გამოჩენილი მომღერალი ფ. ი. ქორიძე. წარმოადგენენ ჰალევის ხუთ-მოქმედებიან ოპერას „ურიის ქალს“. ბ. ქორიძე აასრულებს კარდინალის როლს.

* * *

სიღნაღის თავად-აზნაურთა წინამძღომელი თ. რევაზ ვაჩნაძე აცხადებს, რომ სოფ. ბაკურციხეში, იმის საკუთარს სახლში ამ აგვისტოს 31-ს, კვირას იქნება სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა საზოგადო კრება, რომელზედაც მოლაპარაკება უნდა მოხდეს ქართულის გიმნაზიის გასამართავად ღონის-ძიების მოპოებაზედ.

ეს მეორედ იწვევს სიღნაღის მარშალი თავის მაზრის თავად-აზნაურთა ამ ფრიად საყურადღებო საგანზე მოსალაპარაკებელად; პირველად, სამწუხაროდ, კრება ვერ შესდგა, რადგან საკმაო რიცხვი არ მოგროვდა თავად-აზნაურებისა; იმედი ვიქონიოთ, რომ ახლა მაინც მოგროვდებიან და ისე კარგათვე გაათავებენ ამ საგანს, როგორც ქართლისა და თელავის მაზრის თავად-აზნაურთა გაათავეს.

* * *

კავკასიის მთებიდამ გვწერენ, რომ ზოგიერთს იქაურ სოფლებში ისეთი ყელის-ტკივილი გაჩენილა, რომელიც ორსა და სამს დღეში ხოცავს ბავშვებსაო. ამბობენ, რომ ეს ავათმყოფობა დიფტერიტი უნდა იყოსო.

ამას გარდა სოფ. სტეფან-წმინდას ძროხის ჭირი გაჩენილა და ბევრი იხოცებაო. უმეცარი ხალხი ჭირიან ძროხებს ხოცავს და სჭამენო. ეს კიდევ არაფერი: ჭირიან საქონელს ავლებენ სოფელს და სამღვთოებს აკეთებენო!

ჩვენი კორრესპონდენტი ამბობს, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ ადგილობრივი მთავრობა დაგვპირდა მაზრის ექიმის დაპარებას, მაგრამ დღემდინ არც ექიმი და არც ფერშალი არ გვინახავსო.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, სოფ. ყაზბეგში განზრახვა აქვთ სოფლო შკოლის გამართვისა და ამ საქმეში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან“ შემწეობას მოელიან.

## წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! „დროების“ № 131-ში მე წავიკითხე პასუხი ბ. მიხეილ მაჭავარიანისა ჩემს წერილზედ დაბეჭდილზედ ამავე გაზეთის № 114-ში შესახებ ქართულის გალობისა. ამისაგამო გთხოვთ მისცეთ ადგილი ამ ჩემს უკანასკნელს სიტყვებს, თქვენს გაზეთში, რომლისა შემდეგ აღარ დავინახამ საჭიროდ პასუხი ვაგო შესახებ ამა საგნისა. როდესაც კაცი მოკლებულია ლოღიკურის ჭეშმარიტებისაგან, იმისთვის ძრიელ ადვილია უარის-თქმა თავის პირობეებზედ, შემოტანა უსაფუძლო მიზეზებისა და ცუდ-უბრალოთ განკიცხვა და დაბრალება სხვათა, რომლებსაც ცხადათ ვხედავთ ბ. მაჭავარიანის წერილში.

ჩვენ თუმცა გვინდა თვითოეულ მის სიტყვების განხილვა, მაგრამ არა ვსაჭიროებთ, უმისოთაც დარწმუნებული ვართ, მკითხველნი ცხადათ დაინახვენ ჭეშმარიტებას, ვიტყვით მხოლოდ უმთავრეს ბ. მაჭავარიანის აზრებზედ.

მაკვირვებს ჭეშმარიტად უარის ყოფა ბ. მაჭავარიანისა, რომ ვითომც იმას არ გადუღია ნოტებზედ ვასილი დიდის, გრიგორი ღვთის-მეტყველის (პირველ-შეწირულის) წირვები, იმან გარდიდო მხოლოდ, როგორც ამბობს, რაოდენიმე მწუხრის საგალობლები და იოანე ოქროპირის წირვა; ან ამ სამთა წმ. მღვდელთ-მთავართ

---

ლევა შეადგენს რამდენსამე ტომებს რუსულს, ფრანციულს და ქართულს ენებზე.

მე მინდა ზოგი ამათი თხზულებებიდამ და ზოგი სხვა და სხვა წყაროებიდამ, გაკვრით, წარმოუდგინო მკითხველებს ქართული ფულის ისტორია, მაგრამ არ გამოვეკიდები ძველათ ძველ ფულებს, რომლებსაც მარტო წმინდათ ნუმიზმატიური ინტერესი აქვთ. მე მინდა მკითხველს უამბო იმ ქართული ფულის ამბავი, რომლებიც იჭედებოდნენ (ეს იყო მიღებული სიტყვა) ტფილისში, საქართველოს სამეფოს უკანასკნელ დროებში, და რომელთ თითო ორ-ორა ნიმუშები კიდევ არ გამოლეულან ჩვენ სოფლებში.

* * *

ამიტომ უძველესი ქართული ფულიდამ, რომელსაც, რაღაც ბედათ, მოუწევია ჩვენს დრომდის, სტეფანოს II (638—663 წლ.) მანეთიდამ, მე პირ-და-პირ გადავდივარ ვახტანგ VI კანონ-მდებელის დრომდის, როდესაც გამოიცა პირველი კანონები ქართულ ფულებზე.

1705 წ. ვახტანგ VI-მ შეკრიბა საქართველოს ჩინებულნი და მათი შემწეობით შეადგინა კანონი, რომელსაც „ვახტანგის კანონებს“ ეძახიან და რომელზედაც, ამბობენ, ამ ბრძენმა და თავის ერის მცოდნე მეფემ მიაწერაო ეჭვი, რომ ქართველ ხალხმა მის დღეში აღასრულოს ეს კანონები. ამ კანონების მეთექვსმეტე მუხლში ვახტანგი სწერს ფულებზედ.

მოგვყავს სრულად ეს მუხლი:

„ახლა ჩვენი ჟამის თეთრი ეს არის და ასე იანგარიშების: ოთხი ხაშხაშის მარცვალი ერთი ფეტვის მარცვლის წონა არის; ოთხი ფეტვის მარცვალი ერთის ქერის მარცვლის წონა არის; ოთხი ქერის მარცვალი ერთის ცერცვის მარცვლის წონა არის; ოთხი ცერცვის მარცვალი ერთი დანგი არის. ერთს ცერცვის მარცვალს ყირათიც ჰქვიან. ექვსი დანგი გინა ოც-და-ოთხი ყირათი ერთი მისხალი იქნების. ერთი მისხალი ორ შაურ ნახევრის წონა არის. ორ შაურს ყიზილბაშნი უზალთუნს ეძახიან. ურუმნი და ფრანგნი ქინგირს ეძახიან. ოთხ-შაურს აბაზი ჰქვიან, ფრანგნი თელის ეძახიან. ხუთი აბაზი ერთი მინალთუნი არის და სამი აბაზი ერთი მარჩილი. ათი მინალთუნი ერთი თუმანი არის და ეს ერთი თუმანი თექვსმეტი მარჩილი და ორი აბაზი იქნების. ოც-და-ათს თუმანს ურუმნი ერთს ქისას ეძახიან.

ფრანგულის თეთრის სახელები სხვა არის, მაგრამ აქ ამ თეთრზედ როგორ ეფასების, ისე იქნების. სამს შაურს ფრანგნი რუბს ეძახიან. ორი შაურის წონა ოქრო რომ მისი დალი აჯდეს ერთი ფლური არის. ამ ფლურის ფასი დრო არის შვიდ აბაზად ფასობდეს, დრო არის შვიდ აბაზ-უზალთუნად იყოს. ხან ერთ შაურ ნაკლებ იქნების.“

ამ მუხლიდამ სჩანს, რომ ქართული ვერცხლის თეთრის, ზომა (**единица**) არის შაური, რომელიც იწონავს 9 და სამ-მეოთხედ ცერცვს. ორი შაური, ამ მუხლით, შეადგენენ უზალთუნს, ორი უზალთუნი—აბაზს, სამი აბაზი—მარჩილს, ხუთი აბაზი—მინალთუნს, ათი მინალთუნი—თუმანს, ოც-და-ათი თუმანი—ერთ ქისას.

ამის მეტი „ვახტანგის კანონებში“ სხვა არაფერი არ არის-რა ფულებზე.

* * *

აქედამ ვტყობულობთ, რომ მარცვლები იყო საქართველოს ფულების წონა. მაგრამ, თუ ეს მუხლი კარგათ არის გადმოწერილი ვახტანგის კანონების ორიგინალიდამ იმ ვარიანტში, რომელიც მე მაქვს, ჩემის აზრით, ვახტანგს ერთი შეცდომა აქვს. იმის კანონით, ერთი მისხალი, ან ოც-და-ოთხი ცერცვი, ორ შაურ ნახევარია. ეს რომ ასე იყოს, ერთი შაური 9 და სამი-მეოთხედი ცერცვი იქნება. და თუ შაური არის ვერცხლის ფულის ზომა, იმას უნდა ჰქონდეს თავისი წონა, რომელიც უნდა იქნეს ან 4, ან 5, ან 10 ცერცვი, მაგრამ ვახტანგს აქვს $9^3/_4$ ცერცვი და ს მ-მეოთხედი ცერცვისა, შეუძლებელია იფიქროს კაცმა, ჰქონოდა სახეში ვახტანგს ფულების წონათ. ეს ცხადი შეცდომაა.

ამას თეიმურაზიც გვიმტკიცებს. იმისი აზრით შაური არის ოთხი მუჯუდის წონა, მაშასადამე მისხალი—ექვსი შაური და არა ორ-შაურ ნახევარი, როგორც სწერია ვახტანგის კანონებში. ამას თეიმურაზიდამ უნდა დავამატო შემდეგი: უზალთუნს წინათ პირმანეულს ეძახოდნენ, ორ უზალთუნს დაერქვა აბაზი შაჰ-აბაზ 1-ს დროიდამ. მანეთის ქართული სახელი არის ზუზა.

* * *

როგორც ყველგან, ჩვენშიაც სამნაირი ფული იყო: — ოქროს, ვერცხლის და სპილენძის. ოქროს

წირვებს რითი ანსხვავებს ერთი-ერთმანეთისაგან, რომელნიც ერთნი არიან მხოლოდ მცირედი რამე შეცვალებით; ესე იგი, ვასილის წირვაში ითქმის „ღირსა არსის“ მაგივრად, რომელიც იოანე ოქროპირის წირვაში უნდა, — „შენდამი იხარებსი“ და სხვა გალობეები ისევ ისინი რაც მეორეში, მხოლოდ რაოდენათმე გრძლად; პირველშეწირულის წირვაში უნდა მხოლოდ „რომელნი ქერაბიმთას მაგიერ“ „აწ ძალნი ცათანი,“—„წარემართე ლოცვა ჩემი“-და გათავების დროს „ვაკურთხო უფალი ყოველსა ჟამსა.“

რომ ესენი გარდალებულნი ჰქონდა ბ. მაჭავარიანს, ცხადათ სჩანს მგალობელის თავადის ნაკაშიძის წერილიდგან ჩემთან 14 ივლისიდგან, *) რომელიც სხვათაშორის იწერება: „მაჭავარიანმა გარდილო მწუხრის საგალობელი, დიდი აკურთხევსი... გალობანი წირვისა იოანე ოქროპირისა, ვასილი დიდისა, — „შენდამი იხარებს“, გრიგორი ღვთისმეტყველისა, „წარემართე ლოცვა ჩემი“, „აწ ძალნი ცათანი და ვაკურთხო უფალი ყოველსა ჟამსა.“ ამასთანა დაუმატებ „ამბობს“ თ. ნაკაშიძე: რომე მაჭავარიანს დაეკარგა გადალებული ნოტზედ, „აკურხევს სული ჩემი უფალსა და ნეტარ არს კაცი“ და ხელმეორეთ გარდილო. შემდეგ იგივე ნაკაშიძე უმატებს: იქნება დაკარგა გარდალებული ნოტებზედ „შენდამი იხარებს,“ „წარემართე და სხვ.“ ჩვენ რა ვქნათ? განა ვინც დაჰკარგოს რამე, უნდა სრულიათ უარი სთქვას?

*) ნამდვილი წერილი თ. ნაკაშიძის ამასთან წარმოიდგინება და ვისურვებ მიეცეს მას ადგილი პატივცემულს „დროების“ გაზეთში.

ბ. მაჭავარიანი ამბობს, ვითომც იმას წარედგინოს გადაკეთებული ნოტებზედ რომელიმე მწუხრის გალობები მისის პირველს; ეს სიცუეა: იმას კომიტეტისათვის არაფერი არ წარუდგენია ამ რიცხვში,—წარადგინა მხოლოდ ზაიავლენიით ოკდომბრის 18-ს 1879 წლისა. ვინ იცის ბ. მაჭავარიანმა იქნება სიზმარში წარადგინა და ის ახსოვს, თორემ საქმეში არა ჩხანსრა?

შემდეგ ბ. მაჭავარიანი ამბობს, რომ იმას არ შეეძლო დაევალებინა ვისთვისმე ეს საქმე, თითონ კომიტეტს უნდა ეკისრა; უფასოთ ვერავის დაავალებდა,—რადგან თვითონაც მცირე ჯამაგირს იღებდა. მაშ კომიტეტს რაღათ აძლევდა პირობას? იქნება წინათ გაზრახვა ჰქონდა მოეტყუებინა კომიტეტი, ფულები დაეტყუვნა და ესრეთ შემდეგ უარი ეთქვა? აი მისი პირობა, რომელიც მოხსენებულია მისგან მირთმეულს ზაიავლენიეში მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსისადმი 15 თებერვლიდგან 1879 წლისა:

პუნკტი მეოთხე: „რათამცა კომიტეტი იქნეს დანდობილი, მე მოვალე ვიქნები წარმოუდგენდე კომიტეტს შემდეგ თვითეულს ოროლ თვეობისა გაკეთებულს საქმის ნაწილსა შემოწმებულს უ. სავანელისაგან, შემდეგ, რომლისა კომიტეტი ინებებს მომცეს მე კუთვნილი ჯამაგირი ორის თვისა“.

გარდა ამისა მისგან წარდგენილს ზაიავლენიით ნოტებისა, რომელიც ზემოთ მოვიხსენეთ 18 ოკდომბერს აწერს ზაიავლენიაზედ რუსულათ: „წარმოდგენილნი ამასთან ნოტები ჩემგან მიღებულია უკანვე წარსადგენედ უფ. სავანელთან. მ. მაჭავარიანი. 1879 წელსა ოკდომბრის 28-სა.“

იფიქროს, თუ კი პირობა არ ჰქონდა, რათ მიილო უკანვე ნოტები საჩვენებლად სავანელისა? რაღა არის ამაზედ ცხადი საბუთი გამომაჩინებელი მისი სიცრუისა?

ხოლო რაც შეეხება შემდეგ ბ. მაჭავარიანის სიტყვებს, ვითომც კომიტეტს ეთქვას: შეთანხმება ჩვენც შეგვიძლიანო, რა სჩანს აქედგან? ბ. მაჭავარიანს ეს სიტყვა არ ანთავისუფლებს იმ პირობებიდგან, რომ სავანელსაც არ შეამოწმებინოს. კომიტეტის სიტყვა უფრო გასაფთხილებლად ბ. მაჭავარიანისა არის ასე რომ სავანელსაც რომ აჩვენო, ჩვენც ისე გაუგებარნი არავართო, რომ ჩვენც არ შევამოწმოთო. თორემ თუკი უ. სავანელისაგან შემოწმება კომიტეტს არ დომნოდა, აღარ დაუბრუნებდა ნოტებს 28 ოკდომბერს მის გასაშინჯად.

ეტყობა ბატ. მაჭავარიანს ძრიელ სურს თავის გამართლება, როდესაც ამბობს, რომ კომიტეტის წევრთაგანებს რეგენტს აუშოვს და მღვ. მოლოდინოვს შეუმოწმებიათ და კიდეც სცნეს შეთანხმებულად, რატომ მაშინ არ უთქვამთ, თუ საჭირო იყო ბატ. სავანელისაგან შეთანხმება, ან რატომ არ იზრუნეს ამაზედ, ან რატომ მაშინვე არ ნახეს გამოდგებოდა თუ არა მისი ნოტები, რათ აძლევდენ ყოველს თვეს ჯამაგირს? ამ სიტყვებითაც არ მართლდება ბატ. მაჭავარიანი: კომიტეტმა, უსათნოა, ერთ შემთხვევაში და თვე და თვე ჯამაგირს აძლევდა, რადგანაც მის მდგომარეობას თანა-უგრძნობდა, როგორც თვითონვე ზემოთ ამბობს [illegible] მცირე ჯამაგირზედ; გარდა ამისა თუ-კი ბატ. მაჭავარიანმა დაინახა, რომ კომიტეტმა აღარა უთხრა-რა ბატ. სავანელის შემოწმებაზედ ნოტებისა, მაშინ რატომ არ ეცადა თავის „ზაიავლენიეში“ მოხსენებულს მეოთხე პუნკტის მოსპობას? მარამ ცხადია, რომ, ბატ. მაჭავარიანი სიკეთის და თანაგრძნობის დაუნახავი ყოფილა.

ბ. მაჭავარიანი კანკვირვებით ამბობს: „დიახ კარგია და პატიოსანი, სხვის უანგარობით კოხტაობა? არ ვიცი ამითი რა სურს გამოსახოს, უთუოთ თვითონ ანგარებით კოხტაობა უნდა ტყუილ-უბრალო ფულების შეძენით, ან რათ უნდა სწყენოდა ჩვენი სიტყვა, როდესაც ვსთქვით: უკეთუ მისი შედგენილი ნოტები არ გამოდგა, ფული უკანვე დააბრუნოს; ჩვენ ხომ გადაწყვეტით არ გვითქვამს, ნოტები არ ვარგა და ფული უკანვე დაგვიბრუნეო?—ის ნაცვლად სიამოვნებით მიღებისა, რომ მისი შრომა საზოგადოებაში დაფასდეს და გაიშინჯოს [illegible]ემხტარი გულ-ფიცხად ამბობს, რომ იმას ესეთი პირობა არა აქვს და გვიჩვენებს სამსჯავროს გზებს ვიჩივლოთ, რომლისაგანაც ღმერთმა გვიხსნას მხოლოდ კიდევაც გავიმეორებ: უკეთუ შემდეგ შემოწმებისა, მისი ნოტები არ გამოდგა, პატიოსნება იხმაროს, თუ გინდ კიდეც პირობა არ ჰქონდეს, მაჭავარიანმა და წარუდგინოს კომიტეტს მიღებული ფულები. ვკითხოთ ბ. მაჭავარიანს: მკერვალს შეუკვეთოს პალტო ანუ სხვა ტანთსაცმელი, ფული წინ-და-წინვე მისცეს და ბოლოს არ გამოადგეს ანუ კარგათ არ იყოს შეკერული, მიცემულს ფულს მოითხოვს თუ არა? მისი საქმეც ესე გახლავთ.—

(დასასრული შემდეგში)

---

ფულებს საზოგადოთ ეძახდნენ ფლურს, ვერცხლის ფულებს—თეთრს, შავ ფულებს—ფულს.

ქართული თეთრი ფული ისეთი წმინდა ვერცხლიდამ კეთდებოდა, რომ ყველა ევროპიულ და აზიურ მანეთებს სჯობდა, როგორც სწერს თეიმურაზი.

ჩვენებურ ოქროდამ კი არ აკეთებდნენ ფლურს საქართველოს მეფეები. თუ კეთდებოდა ოქროს ფლურები, ისინი კეთდებოდნენ ჰოლლანდიის, ვენეციის და თათრული ოქროებიდამ. (თათრულიდამ უფრო ნაკლებათ, რადგანაც ეს ოქრო არ იყო წმინდა). ქართული ოქრო გაუკეთებლათ, წმინდა ოქროთ იყიდებოდა—ამ გვარად უფრო ბევრს მოგებაში იყვნენ მეფეები, მაგრამ უმეტეს ნაწილათ, ჩვენი ოქრო საეკკლესიო და სასახლის სამკაულების გასაჭედათ იხმარებოდა.

ოქროს და ვერცხლის მადნეულობა იყო ახტალას.

* * *

ვახტანგ VI შემდეგ საქართველოს ტახტზე მსხდომ მეფეთაგან შემდეგთა დასტოვეს მანეთები, რომელთაც ჩვენამდის მოაწიეს: ვახთანგის შვილმა ბაქარ (1716—1719), თეიმურაზ II (1731—1762), ირაკლი II (1762—1798) ~~და~~ გიორგი XIII (1798—1880).

ამ მეფეებთ დროში თბილისში იჭედებოდა:

ვერცხლის ფულები:

შაური,

ორი შაური, ან კირმანეული,

თელთი, ან აბაზი და

ექვსი შაური, ან ერთი მისხალი.

სპილენძის ფულები:

ნახევარი ფული,

ერთი ფული,

ორი ფული და

ოთხი ფული, ან ბისტი.

ფულებზე წარწერა იყო ქართულათ და არაბულათ. მანეთებზე იყო გამოსახული:

ბაქარის მანეთზე—ფარშავანგი.

თეიმურაზის მანეთზე—ლომი.

თეიმურაზის და ირაკლის მანეთზე—ორი ფრინველი.

ირაკლის მანეთზე—ზოგზე სამეფო გვირგვინი, სკიპტრა, ხმალი და სასწორი, ზოგზე თევზი, ზოგზე ერთ-თავიანი და ზოგზე ორ-თავიანი არწივი.

გიორგი XIII მანეთზე — ფარშავანგი.

* * *

ტავერნიეს მოგზაურობაში ვკითხულობთ, რომ იმერეთის მეფეებსაც ჰქონიათ საკუთარი ფულები, მაგრამ, ამბობს ტავერნიე, იმერული ფულები ას ნაწილში ორით ნაკლენი იყვნენ ქართულ ფულებზე და თუ ვაჭრობაში იღებდნენ იმათ, ისეც სპარსეთის მეფეთ წყალობით.

მეორე მწერალი, ლამბერტი, რომელიც იყო სამეგრელოში 1600 და 1613 შუა სწერს, რომ დადიანებიც აჭრევინებდნენ ფულს, არაბულათ წარწერილს. ეს ფაქტი მარტო იმის მოგზაურობიდამ მაქვს ამოკითხული და არ ვიცი ბ.ბ. ნუმიზმატები რას ფიქრობენ ამაზე.

* * *

ბოლოს საქართველოს სამეფო შეწყდა. 23 ნოემბერს 1799 წელს პავლე I და გიორგი XIII წარმომადგენელთა მოაწერეს ხელი ტრაქტატს, რომლითაც საქართველოს სამეფო გარდა რუსეთის პროვინციათ. ამ ტრაქტატის მე-IV მუხლის ძალით „მადანი ოქროისა და ვერცხლისა ახტალას და შიშხანს შევიდა რუსთა გამგეობაში“ და მე-VIII მუხლით „ფულსა მოჭრილსა თბილისში უნდა ჰქონოდა ერთს მხარეს ღერბი რუსეთისა და მეორეს საქართველოისა“.

ამის გამო 15 ენკენისთვეს 1804 წ. თბილისში გაიხსნა ზარაფხანა, რომელშიდაც იჭრებოდა ქართული თეთრი. ეს ზარაფხანა იყო გამართული ექსარხოსის სახლის გვერდით. იქ იჭედებოდა ორ-აბაზიანები და აბაზიანები, რომლებსაც ყველა ჩვენი მკითხველები იცნობენ და რომლებიც სულ ოთხი-ხუთი წელიწადია რაც ხმარებიდამ გავიდა.

ზარაფხანის გახსნის სახსოვრათ გაჭედილ იქმნა მედალი, რომლის ერთ მხარეზე არის გამოხატული ორ თავიანი არწივი, რომელსაც კლანჭებში უჭირავს კოლხიდელი ლეგენდარული ოქროს მატყლი და შვიდი ჩრდილოეთის ვარსკვლავებიდამ უახლოვდება ქვეყნის ბურთს, რომელზედაც აწერია Иверія Колхида (ივერია და კოლხიდა). იმრგვლივ აწერია: похищенное возвращаетъ (წართაცებულსა უკუ-უბრუნებს). მედალის მეორე გვერდზე აწერია: Тифлисской монетн:дворъ. Открытъ 15 сентября 1804 года. (თბილისის ზარაფხანა. გაიხსნა 15 სექტემბ. 1804 წ.).

ეს ზარაფხანა ორმოციოდე წელი მუშაობდა და შემდეგ, უმაღლესის ბრძანებით, გაუქმებულ იქმნა.

ი. მეუნარგია.

# უცხოეთი

წერილი ამბები: ერთს ინგლისურს გაზეთს პეშტიდამ სწერენ, სამხრეთის სამხრეთის ალბანიის მოთავეთ ამას წინად არგიროკასტროში ჰქონდათ რჩევა, რომელზედაც დაესწრნენ მუსტაფა და ოსმან-ფაშები, და გადასწყვიტეს ეპირის და თესსალიის დაცვა საბერძნეთისაგან და არტის გამაგრება დაჩქარებაო. ოთხს მოთავეს უკისრნიათ 48,000 მეომარის გამოყვანა ბრძოლის ველზედ.

—

ბოლოსის ათინელი კორრესპონდენტი შემდეგს ამბავს იწერება რომელიც მას თესსალიიდამ მიუღია:

„ოსმალეთი საჩქაროდ ემზადება ომისათვის: ციხეში აგზავნის ხანგრძლივს ალსეისათვის საჭირო სამზადისს; აგრაფის მთების წვერებზე, ტრიფოლიდამ დომოკომდის ნაფთ-მოსხმული ფიჩხების კონებია დაყრილი, რომელთაც იმ წამშივე წაუკიდებენ, როცა საჭიროდ დაინახავენ ომის დაწყობა აცნობონ ხალხს. აქაურს ხაზინებში ფული არ არის. აფიცრებს ჯამაგირი არ მიუღიათ, დაფლეთილი ტანისამოსებით დადიან და შიმშილს ითმენენ. არც სალდათებს და არც აფიცრებს არ სურთ ომიანობა, მაგრამ ზოგი მათგანი ამბობს: თუ იქნა ომი ჩვენ რას წავაგებთო? თუ მოგვკლავენ ამ შიმშილს და ტანჯვას გადავრჩებითო და თუ გავიმარჯვებთ მაშინ დამარცხებულს ბერძნებს სრულიად დავარბევთ და გამდიდრებული დავბრუნდებით შინაო.

—

ინგლისურს გაზეთს „*Standard*“-ს ათინიდამ აცნობებენ:

„ბერძნები სრულიად არაფრით ჰშველიან თავიანთ მმართებლობას ამისთანა გაჭირვებულს დროში. აერძო დახმარებაზე და ხელის-მოწერაზე ერთი სიტყვაც არ ისმის.“

კორრესპონდენტი ამბობს: „ამისთანა ღონისძიებით ვერ დაიმსახურებს გვარტომობა თვისდამი პატივისცემასო და ამ ნაირად არ იქცევა ბოლგარიელები, რომელნიც გმობილნი არიან თვით ბერძნებისგანო. ბოლგარელები იქურვებიან, სჯიან და ხარკს იღებენო და ბერძნები კი მხოლოდ სხვესხვებისაგან ელიან შველას, მმართებლობას შეჰყურებენ, ყბედობენ და არაფერ აკეთებენო.“

—

ნიუ-იორკიდამ იწერებიან, რომ 19 აგვისტოს იქ ყოფილა საშინელი ქარიშხალი, რომელსაც ყანები სრულიად გაულეწია, კინგსტონში დაუქცევია ჯარის სადგომი სახლი, ხომალდთ გასაკეთებელი სამი ადგილი დაუნგრევია და სამი გემი დაულუპავს. შიმშილს ელიანო.

# განცხადებანი

—

მომავალი წლის პირველი იანვრიდამ გამოვა ქართული ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი

## „მიმოხილვა“

პროგრამმა ამ ჟურნალისა: ბელლეტრისტიკა, ისტორია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, შინაური მიმოხილვა და პოლიტიკა.

გამოვა თვეში ერთხელ შვიდი თაბახიდამ ათამდის.

ფასი ჟურნალისა წელიწადში რვა მანეთი; ნახევარ წლისა ოთხი-და-ათი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში ჩარკვიანისა და ამხ წიგნის მაღაზიაში და არწრუნის ქარვასლაში ბიბლიოთეკა №145

გარეშე ხელის-მომწერნი მომართვენ რედაქციას ამ ადრესით:

Въ Тифлисъ, книжный магазинъ Чарквіани.

რედაქტორი ნინა გაბაშვილი.

(6—2)

---

აგვისტოს 24-სა კვირას იქნება ქართული

## საზანდარი

თავ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ რესტორანთან შვეიცარიაში.

(2—1)

---

## გლიცერინის საპონი

კანის გამანაზებელი და მარბილებელი. სტეფანე მანველოვის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტი პრ. მდივანის სახლში.

(3—1)

---

ახლად გაღებული

## ზ. ჭიჭინაძისაგან

ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება, ალექსანდროვის ბაღთან რუსის საყდრის გვერდით, წოვიანოვის დუქნებში, № 2.

მსურველთ ამ ადრესით შეუძლიათ წიგნების დაბარება.

Въ Тифлисъ. Въ книжный маг. Зах. Чичинадзе, Базарная улица д. № 2.

(5—2)

---

## კანტორა

ოდესსის ვაჭრის

## იაგ. ზალინოვის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჭყიდულობს და ჭყიდის, კომმისიით ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებლად.

წარმომადგენელია რუსის და საზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჭყიდის და ჭყიდულობს, აგრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

---

ვოდკის დეპო

ვლადიკავკაზის სავოდკე ქარხნისა

## შაუ҆რ

აცხადებს, რომ 15 ივლისიდამ ამ 1880 წლ. იყიდება საუკეთესოდ დაწმენდილი და გადაყენებული ვოდკები შემდეგი წოდების: სასადილო, ბრინჯისა და ბულმერინგის, თითო ბოთლი უბოთლოთ 45 კ. ბოთლიანათ 38, ნახევარ ბოთლისათვის 25 კ. უბოთლოთ 20 კ. სხვა ხარისხები განგებოდ დამზადებულნი ცალკე პრეისკურანტით იყიდება.

ერთად მყიდველებს ბევრს დაუკლებენ.

ეს ვოდკები საუკეთესო პურის არყიდამ ყოფილა დამზადებულნი საორთქლე დამწმედელით და თავიანთ თვისებით უკან არ ჩამოურჩებიან სატახტო ქალაქების ცნობილთ ფირმებს.

მიგვიქცევია ბ. ბ. მყიდველების ყურადღება წარდგენილს ნაწარმოებზე რომელთ ღირსებისთვის ქარხანა პასუხს აგებს.

ვოდკის დეპო იმყოფება მიხაილოვის ხიდზე ვორონცოვის ძეგლის პირდა-პირ ლიხოტინსკოის სახლში.

(8—3)

---

# ისმინეთ, შეხედეთ და გაიკვირეთ!

ამ ცოტა ხანში გაკოტრდა ერთი დიდი ფაბრიკათაგანი, რომელიც „ბრიტანია“-თ წოდებულ ვერცხლით ვაჭრობდა. ამ ფაბრიკისაგან ჩვენ მივიღეთ „ბრიტანია“ ვერცხლის საქონელი, რომელსაც ზედ აკრავს ფაბრიკის დაღი „ნამდვილი ბრიტანია“ და ვჰყიდით ყოველ ნაირ ფასად, ანუ უკეთ ვსთქვათ

მუქთად

ვაძლევთ. ვინაც 7 მან. ქაღალდის ფულად გამოგზავნის იმას შემდეგი ნივთები გაეგზავნებათ ღირებულზე ოთხ-ჯერ უფრო იაფად:

6 ცალს მშვენიერს სტოლის დანები, ტარი აქვს „ბრიტანია“ ვერცხლისა, პირი ნამდვილი ინგლისური.
6 — — მშვენიერი ჩანგლები, ერთიან „ბრიტანია“ ვერცხლისა.
6 — — მშვენიერი სტოლის მძიმე დანები.
6 — — საუკეთესო ხარისხის საყავე დანები.
6 — — „ბრიტანია“ ვერცხლის ბოძკინტი.
1 — — საწვნე მძიმე კოვზი.
1 — — საყავე მძიმე კოვზი.
6 — — ინგლისურს ტაბაკებს (ფოდნოსი) „*victoria*“ მშვენიერად მოხატული.
2 — — კოხტა სტოლის შანდალი.
1 — — ჩაის საწური „ბრიტანია“ ვერცხლისა.
1 — — ფინჯანი შაქრის ანუ პილპილის შესანახავი.
6 — — მშვენიერი ნალბაქი კვერხის ანუ ვოდკისათვის.
1 — — „ბრიტანია“ ვერცხლის საყავე სქემა.
1 — — „ბრიტანია“ ვერცხლის კალათი მწვანილისათვის.

სული 50 ნივთი წინედ 70 მან. ღირებულნი და ეხლა კი 7 მან. ეს ნივთები „ბრიტანია“ ვერცხლიდამ მშვენიერად არიან გაკეთებულნი. ეს ვერცხლი ერთად-ერთი ლითონია, რომელიც მუდამ თეთრად არ რჩება, ასე რომ 25 წლის ხმარების შემდეგ გაირჩევა ნამდვილ ვერცხლისაგან. ამის პასუხს ვაგებთ.

ერთად-ერთი ადგილი მთელი ევროპისათვის, სადაც შეიძლება ეს ვერცხლი შეუკვეთონ არის უმთავრესი დეპო ინგლისის ფაბრიკის „ბრიტანია“ ვერცხლისა.

ლ. ნელკენ, ვენაში (*vl, Vindmuhlgane № 26, æien*).

ჩემი განცხადება რომ ტყვილი არ არის ამის დამამტკიცებლად აქ გაემეორებ ქების წერილებს და მადლობათა და განმეორებულს შემოკვეთებას რომელნიც მრავალი მიმიღია მთელი იმპერიიდამ და პოლშის სამეფოდამ: ქსენქ ლავრინოვიჩი ვორონოვიდამ; მაიორ სოკოლოვსკი—მოლდავა, ად. პრჟიბოროვსკი—პენცინე, კ. კორესინსკი ბორდინში, მ. ხმელნიცკი—სპისეკ, ი. პლიურსკი—მეძიანა და სხვ. და სხვ. ავსტრი—ვენგრიიდამ—მარიამ თ. აუერსპერგ ნიდერშტატში, ვირტემბერგ, ღენერალი ფაბრიცრა რააბში, ი. რაბე სებასტიანბერგში, თ. სამლერი ეგერში, იოს. კიხბერგერი სალცბურგში, ბერარდ ერხი გაჩევოში, ნოტარიუსი იპარე-მელიარი ბრას ბეცეკერეკში, იოს ნიდეკერი ბჰუნდენში, დიმიტრი კაპიც—არად. იოს შოდერბეკ კაინისში და სხვ. და სხვ.

რადგანაც ბევრი გვიკვეთენ ამ ავეჯეულობას, მსურველებს ვთხოვთ მალე გვაცნობონ თავიანთი მოთხოვნილებანი. შეკვეთის დროს გთხოვთ ცხადათ და გარკვეულად ამოიწეროთ ადრესი, რომლითაც ავეჯეულებანი გამოიგზავნებიან. ბადასახადი და სხვა ხარჯი გაგზავნის დროს ერთობ ცოტაა და, ვგონებთ, ერთი მან. მეტი არ იქნება. სხვა ფირმებისაგან განცხადება ამ ავეჯეულებაზედ მხოლოდ მიბაძვაა.

(6—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ 22 Августа 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი